ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 387

"19" აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აგვისტოს №25.1377.1552 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში", ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

შეთანხმება
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი ____ / _____ / 2025 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: სააგენტო), წარმოდგენილი [•] (პ.ნ.: [•]) მიერ;
მეორე მხრივ, შპს „კორტები“ (ს.კ.: 405493194, შემდგომში: მყიდველი) წარმოდგენილი [•] (პ.ნ.: [•]) მიერ,
შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: მხარეები,
ვინაიდან, სააგენტოს მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-624-1-27208 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და მყიდველს შორის 2021 წლის 10 დეკემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიანი ხელშეკრულება“ (მასში 2023 წლის 10 ივლისსა და 2025 წლის 30 აპრილს შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: **ხელშეკრულება**), რომლის საფუძველზეც მყიდველს საპრივატიზებო, საინვესტიციო და სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა 13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.282 (შემდგომში: **ქონება**);
ვინაიდან, მყიდველმა 2025 წლის 23 ივლისის №10/01252042308-61 და 2025 წლის 07 აგვისტოს №10/01252191530-61 განცხადებებით მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდა 2026 წლის 01 სექტემბრამდე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოპირკეთების სამუშაოებისთვის ხელშეკრულების 3.2.1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის გაზრდა 2025 წლის 30 დეკემბრამდე, მშენებლობის პროცესში წარმოშობილი და გამოვლენილი შემაფერხებელი გარემოებების გამო.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [____] №[_____] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [____] №[_____] განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:
1. ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1.1. ხელშეკრულების 3.2.1.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
3.2.1.1. ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2026 წლის 01 სექტემბრისა უზრუნველყოს პროექტის განხორციელება ხელშეკრულების 1.1.7 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
1.2. ხელშეკრულების 3.2.1.3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
3.2.1.3. ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2025 წლის 30 დეკემბრისა, შესაბამისი სამშენებლო ნებართვის მიხედვით, უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში

ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის, ასევე არანაკლებ 3 (სამი) ერთეული საჩოგბურთო კორტის მშენებლობა/მოწყობა ხელშეკრულების №1 („მოპირკეთების სამუშაოები“) და №2 („ესკიზი“) დანართებით გათვალისწინებული პარამეტრებისა და ვიზუალის შესაბამისად.“

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.

4. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. შეთანხმების გაფორმებასთან და საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას უზრუნველყოფს მყიდველი.

6. წინამდებარე შეთანხმება, შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
[•] (პ.ნ.: [•])

_____

შპს „კორტები
[•] (პ.ნ.: [•])

_____